საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაჭავარიანი ელენე მიხეილის ასული

ე. მაჭავარიანი

მაჭავარიანი ელენე მიხეილის ასული (დ. 8. IV. 1931, თბილისი), ხელოვნებათმცოდნე, დამწერლობათმცოდნე, კალიგრაფი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1987), პროფესორი (2002). დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი (1954). 1958-იდან მუშაობა დაიწყო კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინ-ტში (ახლანდ. ხელნაწერთა ეროვნ. ცენტრი), 2009-იდან იქვე იყო ხელოვნებათმცოდნეობის დეპარტამენტის მთ. მეცნიერი თანამშრომელი, 1973–2004 – სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტ. და თეორიის კათედრის პედაგოგი, 2000-იდან დღემდე კითხულობს ლექციებს სას. აკად. ქრისტ. ხელოვნებათმცოდნეობის ფაკ-ტზე.

მ-ის კვლევის სფეროა ქართ. დამწერლობის საფუძვლები, ქართ. ანბანის გრაფიკული წარმომავლობა-განვითარება, შუა საუკუნეების ხელნაწერი ტექსტების მხატვრული გაფორმება, ასლების გადაღება ორნამენტებიდან, მინიატიურებიდან, ძვ. დამწერლობის ტექსტებიდან. იგი არის ქართ.-ბიზანტ., ქართ.-სომხ. ხელოვნებისა და ქართ.-ებრაული ურთიერთობისადმი მიძღვნილი საერთაშ. კონფერენციების, სიმპოზიუმებისა და კონგრესების მონაწილე. 2010-იდან მხატვარ-კალიგრაფისტთა კავშირის წევრია.

მ-ს ნაშრომთა ციკლისათვის „ქართულ სამწიგნობრო ცენტრებში შექმნილ ხელნაწერთა მხატვრული მორთულობის საკითხები“ 2008 მიენიჭა საქართვ. ეროვნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. პრემია; 2017 – საპატრიარქოს სიგელი (ქართ. ქრისტ. კულტურის კვლევასა და ხელნაწერთმცოდნეობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის).

თხზ.: ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები, თბ., 1982; ქართული დამწერლობა, თბ., 2008; ქართული ხელნაწერები, თბ., 2012; მწიგნობრობაჲ ქართული, თბ., 2015; ოპიზის საოქრომჭედლო სახელოსნო, თბ., 2018; ქართული ანბანი ბავშვებისათვის, თბ., 2021.

ი. აბაშიძე